ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის სექტემბრის 30.	№ 18 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შინაარსი:

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 209. სსრკ-ის მთავრობასთან მყოფი ა/კსფსრ მუდმივი წარმომადგენლობის დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

210. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადების მოწყობაში საკალაჯო საბჭოებისა და სხვადასხვა საწარმოსთან მყოფი საბჭოთა ჯგუფების როლისა და მონაწილეობის შესახებ.
211. სასოფლო საბჭოების დათვალიერების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სასალხო კომისართა საბჭოსი.

212. ა/კსფსრ-ში სტანდარტიზაციის ტემპის გაძლერების ღონისძიებათა შესახებ.
213. ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დებულების შეცვლის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

214. საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების საკვებით უზრუნველყოფის მსვლელობის შესახებ.
215. „ანდეზიტ"-ის პროგრამის ჩაშლაში კონკრეტულ დამნაშავეთა შესახებ.
216. მეთესლეობის კოლეგიტიური მეურნეობების შერჩევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

209. სსრკ-ის მთავრობასთან მყოფი ა/კსფსრ-ის მუდმივი წარმომადგენლობის დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

„სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 4-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 95)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სსრკ-ის მთავრობასთან მყოფი ა/კსფსრ-ის მუდმივი წარმომადგენლობის დებულების მე-6 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 78) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 6. ა/კსფსრ მუდმივი წარმომადგენლობის სათავეში სდგანან მუდმივი წარმომადგენელი და ორი მისი მოადგილე, რომელთაც დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო“.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. აღმს. **ა. გიორგაძე.**

1931 წ. სექტემბრის 25.
ტფილისი

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

210. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადების მოწყობაში საქალაქო საბჭოებისა და სხვადასხვა საწარმოსთან მყოფი საბჭოთა ჯგუფების როლისა და მონაწილეობის შესახებ.

მთელ რიგ საწარმოთა მუშების ინიციატივით, ამ უკანასკნელ ხანაში, წარმოიშვა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ახალი ფორმა—სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადები.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფმა ბრიგადებმა მოიპოვეს კონკრეტული მიღწევანი სამრეწველო-საფინანსო გეგმის რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლების აღსრულებისა და გადამეტებით აღსრულების საქმეში; ეს ბრიგადები ერთ-ერთი ფორმაა იმ ბრძოლისა, რაც სწარმოებს შრომის წესიერი ორგანიზაციისათვის, საწარმოთა მუშაობაში სამეურნეო ანგარიშის შთანერგვისათვის და სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარებისათვის—შრომის ნაყოფიერების გადიდებაში თვით მუშების მატერიალური დაინტერესების საფუძველზე.

ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა საქალაქო საბჭოს და საბჭოების ჯგუფებს საწარმოში—ყოველმხრივ განამტკიცონ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათი შემდგომი განვითარების საქმეში, რისთვისაც:

1. საქალაქო საბჭოებმა და საბჭოების ჯგუფებმა საწარმოში და საამქროში უნდა შექმნან ყველა ის პირობა, რაც საჭიროა ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე წარმატებით გადაყვანისათვის. ამ მიზნით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშების ბრიგადებზე დანაწილების გადასინჯვაში—იმ თვალსაზრისით, რომ ლიკვიდირებულ იქნეს გაუპიროვნება გაწყობილობის მოვლის საქმეში და თანაბრობა შრომის სასყიდელში, რისთვისაც ბრიგადები მიმაგრებულ უნდა იქნენ განსაზღვრულ დაზგებზე და უნდა მოხდეს სანარდო შრომის სასყიდელზე გადასვლა და სხვ.; თანაც უნდა შექმნან პირობები მასალისა, ნედლეულისა, ენერგიისა და იარაღის ეკონომიით ხარჯვისათვის,—რისთვისაც უნდა სწარმოებდეს აღსნა-განმარტება, თუ როგორ იყოს დაყენებული სწორე მთლიანი აღნუსხვა, მუშა-ძალის ნორმირება, რა მნიშვნელობა აქვს ყველა ამას და როგორ უნდა იქნეს თავიდან აცილებული მუშა-ძალის უნაყოფო გამოყენება. აგრეთვე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ შინა-სამქრო პლანირებაში და განუმარტონ მუშათა ფართო ფენენებს ზემოაღნიშნული იდეები.

2. საბჭოების ჯგუფები ინიციატორები უნდა იყვნენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადების მიერ საამქრო ადმინისტრაციასთან ხელშეკრულების სასწრაფოდ დადებისა. ამასთანავე ხელშეკრულებაში შეიტანება:

ა) ბრიგადის მიერ, შემხვედრი გეგმის წესით, წამოყენებული რაოდენობითი მაჩვენებლები, ზედნადები ხარჯების ნორმები და აგრეთვე ბრიგადის ვალდებულება—შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, ბრაკის შემცირებისა და ლიკვიდაციისა, ძირითადი და დამხმარე მასალის ეკონომიით ხარჯვისა, მუშაობის გაცდენის და მოცდენის ლიკვიდაციისა, სამუშაოს მცირეინტენსივოვან მუშებით შეშესრულებისა, სამუშაოდ ბლოდ ბ მუშაობის დროის შემცირებისა, გამოსაშვები პროდუქციის ფასების სისტემატიური გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების შესახებ;

ბ) ადმინისტრაციის ვალდებულება—ბრიგადისათვის ნედლეულისა, მასალისა და ინსტრუმენტების თავის დროზე მიწოდებისა, გაწყობილობის თავის დროზე რემონტისა და თვითღირებულების აღნუსხვის ორგანიზაციის შესახებ; აგრეთვე ვალდებულება ბრიგადის დაპრემირების შესახებ მისი მიღწევებისათვის თვისებითი მაჩვენებლების სფეროში (პრემიის რაოდენობა ზედმიწევნით აღინიშნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საბჭოს ჯგუფი თვალყურს ადევნებს პრემიის თავის დროზე (ე. ი. ყოველთვიურად) გაცემას იმ ეკონომიისათვის, რასაც მიაღწევს ბრიგადა ადმინისტრაციის განწესით განსაზღვრული ნედლეულისა, მასალისა, ინსტრუმენტებისა და მუშა-ძალის ხარჯვის ნორმების გადამეტებით შესრულების შედეგად. საბჭოს ჯგუფი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადების მუშაობის პროცესში გამოსარკვევს იმ ცალკეულ მონაწილეთ, რომელთაც გააცდინეს მუშაობა, გამოიწვიეს ბრაკი, მასალის ზედმეტი ხარჯვა და სხვ. და მოითხოვს მოესპოს მათ ნაწილობრივ ან სრულიად პრემია; ამ გარემოებას საბჭოს ჯგუფი გამოიყენებს საუკეთესო მუშა-დამკვრელების დაპრემირებისათვის მათი უფრო მეტი წახალისების მიზნით.

4. რადგანაც სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადა შეიქმნება მხოლოდ თვით მუშების ინიციატივით, საბჭოს ჯგუფმა უნდა აწარმოოს მკვეთრი ბრძოლა იმ დამახინჯებასთან, რამაც თავი იჩინა ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის პრაქტიკაში, მაგალითად: პირგაუტეხელობის მატერიალური ჯარიმის დამყარება მუშებისათვის, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადების ადმინისტრატიული წესით დაარსება, შინაგანრიგების წესისათვის თავის აცილება, ბრიგადის მიერ მიღებული განწესის დარღვევა, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიადებისათვის საბრუნავი სახსარის მიცემა და სხვა მისთ.

5. საქალაქო საბჭოებმა ახლო ხანში უნდა მოისმინონ თავიანთ პრეზიდიუმებში საწარმოთა მოახსენებანი სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადების მოწყობის საქმის მდგომარეობის შესახებ, რისთვისაც სექციების მეშვეობით უნდა მოახდინონ წინასწარი გამოკვლევა.

რადგანაც სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ბრიგადების განვითარებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს წარმოებაში შრომის წესიერად ორგანიზაციისა, სამეურნეო ანგარიშის შთანერგვისა და სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისათვის,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოითხოვს საქალაქო საბჭოებისაგან და საბჭოების ჯგუფებისაგან სხვადასხვა საწარმოში—მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის საქმეს და გულმოდგინებით მოამზადონ იგი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვ. აღმს. ა. გიორგაძე.

1931 წ. სექტემბრის 29.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

211. სასოფლო საბჭოების დათვალიერების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ.

სასოფლო საბჭოების მუშაობის გარდაქმნის საქმის დათვალიერების თვიურის შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. სექტემბრის 12-ის დადგენილების დასამატებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რადგანაც ა/კსფსრ რაიონების უმეტესობა დიდის დაგვიანებით შეუდგა სასოფლო საბჭოების დათვალიერების თვიურს, ხოლო ბევრი მათგანი—უმთავრესად აზერბაიჯანში—არსებითად დათვალიერებას არც-კი შესდგომია, დათვალიერების დამთავრების ვადა გადაიდოს 1931 წ. ოქტომბრის 20-თვის.

2. დათვალიერებისათვის წარმოებულ მუშაობაში კოლმეურნეთა მასსებისა და ინდივიდუალურ მეურნე გლეხებისა, ღარიბი და საშუალო გლეხების ფართოდ ჩაბმისათვის—მოწყობილ იქნეს თვითეულ დასახლებულ პუნქტში რამდენიმე თემატიური ბრიგადა დაგზავნილ ინსტრუქციის თანახმად; ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შემდეგი ბრიგადების შექმნას: ა) მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ოპერატიული დახმარების ბრიგადებისა; ბ) კოლმეურნეთაგან და ინდივიდუალურ მეურნეთაგან შემდგარი შერეული ბრიგადებისა, რომელნიც გამოიკვლევენ კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობას, რის შემდეგაც კოლმეურნეობანი წარუდგენენ კოლმეურნეთაგან და იმ ინდივიდუალურ მეურნეთაგან შემდგარ კრებას, რომელნიც ჯერ კიდევ კოლექტიურ მეურნეობაში არ შესულან, სათანადო მოხსენებას, ხოლო ბრიგადები—თანამოხსენებას; გ) საჩივრებისა და წინადადებების გამრჩევი ბრიგადებისა; დ) „კოლექტიურ მეურნეობებიდან გარესამუშაოზე გასვლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილების მრეალიზებელი, ზედმეტი მუშა-ძალის გამომრკვევი და ამ მუშა-ძალის საწარმოთათვის მომგროვებელი და საბჭოთა მეურნეობების მოსავლის აღებაში დამხმარე ბრიგადებისა.

3. ოქტომბრის 2 და 7 შუა ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში ჩატარებულ უნდა იქნეს თანაბარი სექციების ხელმძღვანელთა და აქტივის თათბირები, დამთვალიერებელი კომისიებისა, კოლმეურნეებისა, სამოქალაქო ომის პარტიზანებისა და გმირების მონაწილეობით—სასოფლო საბჭოების სექციების მუშაობის ბრიგადული მეთოდით მუშაობის შესაბამისად გარდაქმნის შესახებ; თანაც განხილულულ უნდა იქნეს ცალკეული სექციების სანიმუშო გეგმები.

4. ოქტომბრის 7—10 ყველა სოფელში და დასახლებულ ადგილას ჩატარებულ უნდა იქნეს წინასწარი საჯამო დათვალიერების თათბირები, დეპუტატების უკან გაწვევა და შეცვლა, სექციების შედგენილობის გადასინჯვა, სექციების სამუშაოთა და ბრიგადების შექმნის გეგმების მასსური განხილვა; თათბირებში მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მასსები და ამ თათბირებს ხელმძღანელობას გაუწევენ ბრიგადირები, საბჭოთა დეპუტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები და დამკვრელი-კოლმეურნეები; სექციებსა და ბრიგადებს შორის დაიდებ კონკრეტული სოციალისტური ხელშეკრულებანი ცალკეულ ღონისძიებათა შესრულების ვადის აღნიშვნით; ხელშეკრულებებით უზრუნველჰყოფილ უნდა იქნე სოფლის სამეურნეო და კულტურული განვითარების გეგმების ასრულება და გადამეტებით ასრულება; თათბირებზე აგრეთვე დასახელებულ იქნებიან დასაპრემირებელი კანდიდატები. დამთვალიერებელი კომისია შეადგენს სოფლად დათვალიერების მსვლელობისა და შედეგების წინასწარ ანგარიშს, რომელშიაც აღინიშნება: ა) დათვალიერების პერიოდში მიმდინარე კამპანიების გეგმების ასრულება—მოსავლის აღება, დამზადებანი, საშემოდგომო თესვა; ბ) დათვალიერების პერიოდში კოლმეურნეობათა ზრდა, ნაჭრობითობის შთანერგვა, შრომის აღნუსხვა და მოსავლის განაწილება; გ) რიცხვი ბრიგადებისა და დამთვალიერებელ ბრიგადებში ჩაბმულ პირთა, მათი სოციალური და სქესობრივი ნიშნების მიხედვით და აგრეთვე სექციების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულ პირთა რიცხვი; დ) გამოცემული კედლის გაზეთების რიცხვი; ე) უკან გაწვეული დელეგატები და მათი გაწვევის მიზეზები; ვ) სასოფლო საბჭოს მუშაობის გარდაქმნის ხასიათი; ზ) დაპრემირებულთა რიცხვი; თ) ჩატარებული მასსური კრებების რიცხვი; ი) გამოაშკარავებული დიდი მნიშვნელობის ნაკლოვანებანი და გადახრანი; კ) უმნიშვნელოვანესი წინადადებანი.

5. სექტემბრის 12—20 სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოიწვევა საჯამო თათბირები—რაიონებში დათვალიერების მიმდინარეობის საქმისათვის; გაიცემა პრემიები სარაიონო მასშტაბით და დასახელებულ იქნებიან კანდიდატები სასოფლო საბჭოების რესპუბლიკანური კონკურსისათვის; შედგენილ იქნება ანგარიში სასოფლო საბჭოებისათვის დადგენილი სქემის მიხედვით და შემდეგი ცნობების დამატებით: ა) ჩატარებული სარაიონო და ქვერაიონული თათბირებისა, კურსებისა და კონფერენციების რიცხვი; ბ) სარაიონო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის ხასიათი; გ) საბჭოთა მუშაობაში ჩაბმული კოლმეურნე-პარტიზანებისა, სამოქალაქო ომის გმირებისა, ღარიბ და საშუალო ინდივიდუალური მეურნეებისა და ქალების რიცხვი და რა მუშაობაში არიან ჩაბმულნი.

6. ოქტომბრის 20—25 რესპუბლიკანური დამთვალიერებელი კომისიები ჯამს გაუკეთებენ მუშაობას, შეადგენენ ანგარიშს, შეარჩევენ კანდიდატებს საერთო-საამიერკავკასიო დაპრემირებისათვის და გასცემენ პრემიებს რესპუბლიკანური მასშტაბით.

7. ნოემბრის 1-ლს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დაყენებულ იქნეს ცენტრალური დამთვალიერებელი კომისიის ანგარიში და მიეცეს პრემიები ამიერკავკასიის საუკეთესო დამთვალიერებელ კომისიებს.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალ. აღმს. **ა. გიორგაძე.**

1931 წ. სექტემბრის 29.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

212. აკსფსრ-ში სტანდარტიზაციის ტემპის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

რადგანაც სოციალისტური სტანდარტიზაცია ერთ-ერთი უაღრესი მნიშვნელობის ფაქტორია ტეხნიკის დაგეგმვისა და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ტეხნიკური გარდაიარაღებისა, საწარმოთა სპეციალიზაციისა, პროდუქციის თვისებისათვის ბრძოლისა, თვითღირებულების შემცირებისა და მშენებლობის გაიაფებისა და—საერთოდ—სახალხო მეურნეობაში დანაკლისთა წინააღმდეგ ბრძოლისა,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს და დაწესებულებას—უზრუნველჰყოს უმოკლეს ხანში ორგანიზაციულად და მატერიალურად ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რაც გათვალისწინებულია სასტანდარტიზაციო კომიტეტის დადგენილებით და რაც შეეხება სტანდარტიზაციის საქმის საორგანიზაციო მხარეს.

2. წინადადება მიეცეს უწყებებისა, შენაერთებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთ გამოჰყონ პერსონალურად კოლეგიისა თუ გამგეობის თითო წევრი, რომელიც პასუხისმგებელ იქნება ყველა სასტანდარტიზაციო ღონისძიებისათვის, და მათი გვარები აცნობონ სასტანდარტიზაციო კომიტეტს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—გამოკვლევის ჩატარების დროს გამოაშკარაოს სტანდარტიზაციის გეგმების ჩაშლაში დამნაშავენი და მისცეს ისინი პასუხისგებაში სსრკ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალური საკონტროლო კომისიის 1930 წ. სექტემბრის 1-ლის დადგენილების შესაბამისად.

4. დაევალოს ყველა უწყებასა და შენაერთს—ააგოს თავისი სამრეწველო-საფინანსო გეგმები საერთო საკავშირო სტანდარტების ტეხნიკური და თვისებრივი ნორმების შესაბამისად. როგორც ახალსაშენებლებმა, ისე რეკონსტრუქციებმა უნდა უზრუნველჰყონ დამტკიცებული სტანდარტების განხორციელება.

5. წინადადება მიეცეს უწყებათ—დაავალონ მათ გამგებლობაში მყოფ ყველა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული ამიერკავკასიის სასტანდარტიზაციო კომიტეტის მინიშნებით, შეიტანოს თავისი მოქმედების გეგმაში სასტანდარტიზაციო სამუშაოები და უზრუნველჰყოს ეს სამუშაოები საორგანიზაციო საშუალებით და საფინანსო სახსარით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1931 წ. სექტემბრის 26.
№ 413.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

213. ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დებულების შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივლისის 28-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 11-ის დადგენილების საფუძველზე სარეწაო კოოპერაციის მთელი სისტემის ძირითადი რეორგანიზაციის შესაბამისად—ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 მე-14 №ი, მუხ. 158) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის საბჭო დაარსებულია, რათა საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სარეწაო კოოპერაციის კავშირებისა, მათი სადარგო შენაერთებისა და სპეციალური სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებას, დაგეგმოს და მოაწესრიგოს საწარმოო და საგამსაღებლო-სამმომარაგებლო მუშაობა და კაპიტალური მშენებლობა, გაატაროს სარეწაო კოოპერაციის სისტემის საფინანსო პოლიტიკა და საორგანიზაციო, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ-მასსური მშენებლობის ყველა საკითხი, და აგრეთვე საკითხები ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის განვითარების ღონისძიებათა შემუშავებისა ა/კსფსრ მთავრობის ორგანოებში, სადირექტივო ორგანოებში და ა/კსფსრ-ისა და სსრკ-ის კოოპერატიულ ორგანოებში;“

2. მე-5 მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შეიმუშაოს ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის მომარაგებისა და მის ნაკეთობის ექსპორტის ჯუფლობითი საწარმოო-საფინანსო გეგმები და გაანაწილოს, დამტკიცებული გეგმების საფუძველზე, რესპუბლიკანურ კავშირებს შორის ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის ნედლეულით, ნახევარ-ფაბრიკატებით და საწარმოო იარაღით მომარაგების კონტინგენტები.“

„ვ) გაანაწილოს რესპუბლიკანურ კავშირებსა და სპეციალურ შენაერთებს შორის საბანკო და საბიუჯეტო დაფინანსება, აგრეთვე დაადგინოს და გაატაროს საფინანსო დისციპლინის დამრღვევ კავშირების მიმართ საფინანსო ზედამეთვალეობის ღონისძიებანი მთავრობის უმაღლესი ორგანოებისა და სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელი ცენტრებისა“.

3. მე-5 მუხლს დაემატოს პუნქტები „ლ“ და „მ“ შემდეგი შინაარსისა:

„ლ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, ა/კსფსრ სარეწაო კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის გეგმები;“

„მ) გაუწიოს მეთვალყურეობა და კონტროლი კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებას; განაწილოს, დამტკიცებული გეგმების საფუძველზე, რესპუბლიკურ კავშირებს შორის კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო სახსარი, მშენებლობის ობიექტების მიხედვით და წლიური და კვარტალური ხაზით; განიხილოს და დამტკიცოს, არსებული დებულებების საფუძველზე, ტეხნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები; აგრეთვე—შეიტანოს, სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, საჭირო ცვლილებანი კაპიტალური მშენებლობის დამტკიცებულ გეგმებში.“

4. მე-6 მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მოსთხოვოს რესპუბლიკანურ ცენტრებსა, სადაგრო და სპეციალურ სარეწაო კოოპერატიულ შენაერთებს მათი მოქმედების ანგარიშის წარდგენა და მოისმინოს ეს ანგარიშები;“

„დ) აწარმოოს რევიზია სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრებისა, სპეციალური და სადარგო შენაერთებისა, საურთიერთო დაზღვევის სალაროებისა და პირველადი ორგანიზაციებისა, უკანასკნელ შემთხვევაში—სათანადო რესპუბლიკანური ცენტრის ცნობილად“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1931 წ. სექტემბრის 26.
№ 414.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ალსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

214. საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების საკვებით უზრუნველყოფის მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. ხუნდაძის მოხსენება და „სკოტოვოდ“-ის ამიერკავკასიის განყოფილების წარმომადგენლის ამხ. დალინისა, „სვინოვოდ“-ის ამიერკავკასიის განყოფილების წარმომადგენლის ამხ. იორამაშვილისა, „ოვცევოდ“-ის ამიერკავკასიის განყოფილების წარმომადგენლის ამხ. სარკისოვისა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. პოტერიახინის თანამოხსენებები—საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების საკვებით უზრუნველ-

ყოფის მსვლელობის შესახებ, აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ:

ა) ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და „სკოტოვოდ"-ისა და „სვინოვოდ"ის საბჭოთა მეურნეობების ტრესტების მიერ მიღებულ არ იქნა თავიის დროზე ღონისძიებანი—საკვებით საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების უზრუნველყოფის შესახებ გაცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დირექტივების შესრულებისათვის, განსაკუთრებით საკვების დასილოსებისა და თიკის გათიბვის ხაზით;

ბ) თუმცა „სკოტოვოდ"ის ტრესტმა სათიბების მოსავლის აღების გეგმა 88-%ით შეასრულა, მაგრამ ცალკეული საბჭოთა მეურნეობები (ჩერმოდილისა, შემახისა, ბაზარჩაისა და სემიონოვსკის) სრულად არ არიან უზრუნველყოფილნი მაგარი საკვებით; „სკოტოვოდ"-ისა, „სვინოვოდ"-ისა და „ოვცევოდ"-ის საბჭოთა მეურნეობების ტრესტებში არ არსებობს ქონებული საკვების აღნუსხვა, შედგენილი არ არის 1931-32 წლის ზამთრისათვის საჭირო საკვების ბალანსი და შემუშავებულ არ არის საკვებით დეფიციტიან საბჭოთა მეურნეობებში საკვების გადაგზავნის გეგმა.

აღსრულების შემმოწმებელ კომისიას მიაჩნია, რომ პასუხისმგებლობა „სკოტოვოდ"-ისა, „ოვცევოდ"-ისა და „სვინოვოდ"-ის ა/კსფსრ საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების საკვებით უზრუნველყოფისათვის უნდა დაეკისროს მთლად ტრესტების ამიერკავკასიის კონტორების მმართველთ და სათანადო საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს „სკოტოვოდ"-ისა, „ოვცევოდ"-ის და „სვინოვოდ-ის" ტრესტებს საბოლოოდ გამოარკვიონ ნოემბრის 15-თვის სათანადო სისტემების ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში ქონებული მაგარი საკვების რაოდენობა და, ამისდაშესაბამისად, შეიმუშაონ ამა თუ იმ საბჭოთა მეურნეობაში საკვების ნაკლებობის დაფარვის გეგმა—ერთი საბჭოთა მეურნეობიდან საკვების სხვა საბჭოთა მეურნეობაში გადაგზავნით.

უზრუნველჰყონ სავსებით სილოსის ჩაწრის გეგმის აღსრულება გარეული ალმონაცენისა და ნათიბზე მოსული ბალახის გამოყენებით.

2. დაეკალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარუდგინოს ოქტომბრის 25-თვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად „სკოტოვოდ"-ისა, „ოვცევოდ"-ის და „სვინოვოდ"-ის საბჭოთა მეურნეობების კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფის გეგმა.

3. დაეკალოს „სკოტოვოდ"-ისა და „ოვცევოდ"ის ტრესტების მმართველთ—უზრუნველჰყონ ზამთრის სიცივის დადგომამდე საკვების გადაგზავნა საქონლის საზამთრო ბინებში.

4. მიღებულ იქნეს ცნობად „ოვცევოდ"-ის ტრესტის მმართველის ამხ. სარქისიოვის განცხადება, რომ „ოვცევოდ"-ის საბჭოთა მეურნეობანი სრულიად უზრუნველყოფილ არიან საკვებით ზამთრის პერიოდში.

5. ნოემბრის ბოლოს მოსმენილ იქნეს აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში ტრესტების მოხსენებანი საბჭოთა მეცხოველეობის მეურნეობების ცალკეული სისტემების ზამთრის პერიოდში მაგარი და კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფის შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი თ. მელნიკოვი.

1931 წ. სექტემბრის 24.
№ 25.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

215. „ანდეზიტი"-ს პროგრამის ჩაშლაში კონკრეტულ დამნაშავეთა შესახებ.

1. მოისმინა-რა ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისა და „ზაკმინერალრუდ"-ის დირექტორის თანამოხსენებანი „ანდეზიტ"-ის პროგრამის შესრულების მსვლელობის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილება ანდეზიტის მუშაობის შესახებ შესრულებული არ არის (1-ლ ნახევრაწელს შესრულებულია პროგრამა: ტლანქი თლა—25,4%-ით, სუფთა თლა—54,9%-ით; ივლისში: ტლანქი თლა—15,7%-ით და სუფთა თლა 34,9%-ით; აგვისტოში: ტლანქი თლა—12,3%-ით, სუფთა თლა—21,7%-ით) და სამრეწველო-საფინანსო გეგმის დავალებანი ჩაშლის საფრთხეშია ჩაყენებული.

2. ანდეზიტისათვის მიცემულ დავალებათა შესრულების ჩაშლა იმის შედეგია, რომ საკავშირო შენაერთებმა არ შეასრულეს თავიანთი დადგენილებანი ანდეზიტისათვის საჭირო მექანიკური გაწყობილობის მიწოდების შესახებ და აგრეთვე იმისა, რომ თვით ანდეზიტის შიგნითვე ანდეზიტის დირექტორმა ამხ. სერედამ და „ანდეზიტსტროი"-ს სამმართველოს უფროსმა ამხ. პირგულოვმა მეტისმეტად შეუსაბამოდ მოაწყეს მუშაობა, ხოლო „ზაკმინერალრუდის" მმართველმა ამხ. ჭელიძემ სუსტი ხელმძღვანელობა გაუწია ამ უაღრესი მნიშვნელობის სამუშაოს.

3. აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობის შექმნისათვის თვალსაჩინოდ პასუხისმგებელი არიან ანდეზიტის პარტიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პროფესინალური ორგანიზაციები, რომელნიც ასეთ პასუხსაგებ სამუშაოს საქმეში ვერ იდგნენ სათანადო სიმაღლეზე.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ანდეზიტის დირექტორი ამხ. სერედა და „ანდეზიტტროი"-ს სამმართველოს უფროსი ამხ. პირგულოვი მოხსნილნი არიან სამუშაოდან.

2. მიენიშნოს „ზაკსტროიობედინენიე"-ს მთავარ ინჟენერს ამხ. აკოფოვს, რომ „ანდეზიტსტროი"-ზე ტეხნიკური ხელმძღვანელობის დაკომპლექტება დამაკმაყოფილებელი არ არის.

3. მიენიშნოს ა/კ. სახელმწიფო საპროექტო კონტორის მთავარ ინჟენერს ამხ. სოლოვიოვს და საარქიტექტურო განყოფილების გამგეს ინჟენერ კალვინს, რომ მათ დააყოვნეს პროექტების შედგენა და რომ თვით აღსრულება ამ პროექტებისა თვისებრივად არადამაკმაყოფილებელი იყო, რაც ქმნიდა გაძნელებას ანდეზიტის სამუშაოთა წარმოებაში.

4. მიენიშნოს სამომხმარებელო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირის თავმჯდომარეს ამხ. ბუკრეევს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირის აპარატმა არ შეასრულა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მიერ არაერთხელ გამოტანილი გადაწყვეტილება ანდეზიტზე კოოპერატიული მუშაობის განმტკიცებისა და მუშების კვების გაუმჯობესების შესახებ.

5. წინადადება მიეცეს პროკურატურას გამოიძიოს ანდეზიტისათვის უვარგისი და არასაპირო გაწყობილობის შეძენისა, უყაირათობისა და გაფლანგვის შემთხვევები ანდეზიტის თანამშრომლების ჰასან ჯალალოვისა, ოსტაპოვისა, ხობუას, შინგელაიას და სხვათა შესახებ და დამნაშავენი მისცეს პასუხისგებაში.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მეჯნიკოვი.**

1931 წ. სექტემბრის 24.
№ **26.**
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შემმოწმებელი კომისიისა.

216. მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობების შერჩევის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის თავმჯდომარის ამხ. ავიისა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ხუნდაძისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. პოტერიახინის ცნობა „მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობების შერჩევის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1931 წ. ივნისის 21-ის გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ სსრკ-ის მაწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1931 წ. ივნისის 21-ის დადგენილება „მეთესლეობის კოლექტიური მრეურნეობების შერჩევის შესახებ“ აღსრულებული არ არის აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ეს აღსრულებლობა მოხდა შემდეგი ორგანიზაციების ბრალით:

ა) ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, რომელსაც თავის დროზე უნდა მოეწყო კომისია კოლექტიური მეურნეობების შერჩევის და ადგილებზე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის და რომელმაც არ გააკეთა ეს, დაკმაყოფილდა-რა მხოლოდ იმით, რომ წინადადება მისცა ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს და რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებს მოეწყოთ ეს მუშაობა;

ბ) ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა, რომელმაც მხოლოდ სექტემბრის პირველ რიცხვებში გაგზავნა თავისი წარმომადგენელნი აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში ამ დავალების აღსრულების მოსაწყობად და რომელსაც ამ ჟამად ჯერ კიდევ არ აქვს მასალები ადგილებიდან;

გ) „სოიუზსემენოოდკოლხოზცენტრისა“, რომელსაც აქამდე არ გამოუგზავნია თავისი წარმომადგენელი ადგილობრივ საქმის მოსაწყობად და სადაო საკითხების გადასაწყვეტად, და რომელმაც არაუზრუნველჰყო სახსარით მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობების ცენტრებისა და მათი საპერიფერიო ქსელის მოწყობა აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში.

ამისდამიხედვით აღსრულების კომისია ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს—დაიჩქარონ მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობების კავშირების მოწყობა აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში.

2. დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1931 წ. ოქტომბრის 15-სა მეთესლეობის კოლექტიური მეურნეობების შერჩევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ყველა რესპუბლიკაში და უზრუნველყოფილ იქნეს ეს მეურნეობანი აგრომომსახურეობის გაწევით და აგრონომებისა და აგროტეხნიკოსების საპირო რიცხვის მათზე მიმაგრებით.

3. „სოიუზსემენოოდ-“მა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა და საქართველოს მეთესლეობის მეურნეობათა კავშირმა უნდა იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი დაკონტრაქტებული სათესლე მასალის თავის დროზე მოგროვებისა და დამზადე-

ბის უზრუნველსაყოფად და თანაც გაითვალისწინონ დანაკლისებთან ბრძოლის ღონისძიებანი.

4. წინადადება მიეცეს „სოიუზხლებ"-ის ამიერკავკასიის კონტორას—გამოჰყოს თავისი მოქმედების რაიონებში, „სოიუზსემენოვოდ"-ის მინიშნებით, სათანადო ტევადობის თესლთსაცავები.

5. ა/წ. ოქტომბრის ბოლოს მოსმენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება ა/კსფსრ-ში სელექციისა და მეთესლეობის გეგმისა და ადგილებზე ამ საქმის დაყენების შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. სექტემბრის 24.

№ 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 290 №-ში 1931 წ. ოქტომბრის 21-ს.

მთავლ. № 2348. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400